საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება №6/30

ქ.თბილისი

"09" ივნისი 2017 წ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის წევრებსა და კომისიაში დასაქმებულთათვის შრომის ანაზღაურების პერიოდულობის განსაზღვრის შესახებ

„ მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და მე-5 პუნქტისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების" მე-3 მუხლის 24-ე პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დანართი N1-ში წარმოდგენილ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის (შემდგომში „კომისია") წევრებსა და კომისიის აპარატში დასაქმებულებზე საშტატო ნუსხით განსაზღვრული რანგის შესაბამისი შრომის ანაზღაურება გაიცეს თვეში ორჯერ, შრომის ანაზღაურების 50% ოდენობით - ყოველი თვის 15 რიცხვისთვის (ბოლო სამუშაო დღე) და 50% ოდენოებით - თვის 30 რიცხვისათვის (ბოლო სამუშაო დღე);

2. დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ნ. დევდარიანი) 2017 წლის პირველი ივლისიდან დანართი N1-ში განსაზღვრული პირებისთვის შრომის ანაზღაურების გაცემა განახორციელოს ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად;

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის ჯგუფს (გ. კვანტალიანი) უზრუნველყოს დანართი N1-ში განსაზღვრული პირებისგან წერილობითი თანხმობის მიღება შრომის ანაზღაურების ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად ანაზღაურებასთან დაკავშირებით პირად საქმეში შენახვის მიზნით;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის ჯგუფს (თ. ბოკუჩავა).

საფუძველი: კომისიის თავმჯდომარის ზეპირსიტყვიერი მითითება, დანართ N1-ში წარმოდგენილი დასაქმებულთა სია.

კომისიის თავმჯდომარე **კ. ბექაური**

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge